

ქმ წერილით ვამთავრებთ
 მძლეოსნობაში მსოფლიო ჩემპიონატის შედეგების მიმოხილვას. მკითხველი, რომელიც ტელევიზიით ადევნებდა თვალყურს რომში გამართული ასპარეზობის პერიოდებს, დაგვეთანხმება, რომ ჩემპიონატი მართლაც მაღალ დონეზე ჩატარდა, აქ იყო უველაფერი, რაც საზიარო ელფერს აძლევს და დღესასწაულად აქცევს სპორტულ ასპარეზობას. ჩემპიონატის დღეებში ყველაფერს სუფევდა მეგობრული ატმოსფერო, სწრაფვა სხვადასხვა ქვეყნებს შორის სპორტული ურთიერთობის გაფართოებისთვის. ყოველივე ეს მთელი მსოფლიოს პრესამ საგანგებოდ აღნიშნა.

იტალია — სსრ კავშირის სპორტული ურთიერთობა ყოველწლიურად ფართოვდება და ღრმავდება. მძლეოსნობა მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში მოეწყო საქაიანი შეხვედრები, რომელსაც იტალიელ სპონსორებთან კიდევ ერთი საგულბისმო შეთანხმება მოჰყვა. ლოკუმენტს ამ დღეებში მოაწერეს



საბჭოთა სპორტსმენმა ნატალია ლისოვსკაიამ გაიმარჯვა ბირთვის კერაში.

ხელი მოსკოვში. ფეხბურთის მოყვარულებმა შენიშნეს, რომ ევროპის საკლუბო ტურნირებზე საბჭოთა გუნდები, მათ შორის თბილისის „დინამო“, იტალიის ფორმა „ოკრ-იმის“ ერთნაირ სიმბოლიანი მასალებით გამოვიდნენ მინდორზე. ეს სამრეწველო ფირმა, რომლის სრულ დასახელებაც „ოკრ-იმ სპ“ შხადაა შემდგომში განავრცობს სპონსორობა, შემოსული თანხები კი, როგორც ვიუწყებოდათ, მთლიანად მონაწილეებს სსრ კავშირში მასობრივი სპორტის განვითარებას.

უნდა ითქვას, რომ სპონსორობამ სამოყვარულო სპორტის დასავლეთში იხსნა „ფინანსური შემოსილისაგან“. ქალაქებსა და თვით სახელმწიფოებსაც კი, ხშირად საჭირო თანხის გამოყოფა არ შეუძლიათ დიდი, მნიშვნელოვანი შეჯიბრებების ჩასატარებლად თუ ასეთი ასპარეზობებისათვის საკუთარი გუნდების მოსამზადებლად. ფირმა კი დიდი ფულს იხდის იმისათვის, რომ მათი სახელები თუ ნაწარმის სახელწოდება პრესაში იხსნას ჩანდეს მილიონობით მკითხველსა და ტელემაყურებელს წინაშე. ასეთ დიდ აუდიტორიას კი სპორტულ შეჯიბრებებზე უკეთესად რომელი ლინისძიება მოუყვარდება? მართალია, ამგვარი მეცნიერების დროს სპორტს კომერციალიზაციის საფრთხე ემუქრება, მაგრამ მასთან ბრძო-



დედოფლის მთელი ასაღა

მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში. რომი. 29 აგვისტო — 6 სექტემბერი, 1987 წ.



ლა შეიძლება, უსახსრობა კი გაცილებით ძნელ პრობლემებს წარმოშობს...
 არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნით იტალიელებიც გულწრფელად არიან დაინტერესებულნი. ჩემპიონატის დღეებში მრავალფეროვან სუვენირებს შორის ქალაქში იყიდებოდა მასობრივი რუსული წარწერით: „მე მიყვარს სსრ კავშირი“. სხვათა შორის, ერთი ასეთ მასობრივ გამოწვევით ტურისტია, როცა მილანიდან შინ ვბრუნდებით, თვითმფრინავშიც დაგვემზავრა. ამავე თვითმფრინავით ჩვენს ქვეყანაში მოემზავრებოდა იტალიელ ტურისტთა დიდი ჯგუფი, ეს მოგზაურობა ორ ქვეყანას შორის კულტურული ურთიერთობის პროგრამით ხორციელდება.

ახლა კვლავ შეჯიბრებებს დაუბრუნდეთ.

ბაროს მტყორცნელ ვაჟთა შეჯიბრებაში მოულოდნელი არაფერი მომხდარა — გაიმარჯვა მსოფლიოს რეკორდსმენმა იურგენ შულტმა — 67,36 მ, მაგრამ ერთი უჩვეულო გარემოება მაინც უნდა აღვნიშნოთ: მეორე ადგილზე გასული ამერიკელი ჯონ პაუელი (66,22 მ) 40 წლისაა. მისი თანატოლები ხომ ჯერ კიდევ მეხიკოს ოლიმპიადზე გამოდიოდნენ. აქ ალბათ უნდა გავიხსენოთ მისი თანამემამულისა და „კოლგის“ ოთხჯგის ოლიმპიური ჩემპიონის ალფრედ ორტერის საოცარი ისტორია. ოლიმპიურ ციკლში წარუმატებლობის მიუხედავად, იგი მთავარ შეჯიბრებებში საუკეთესო ფორმას აღწევდა და მუდამ ოქროს მედლით მკურდამშვენებული ბრუნდებოდა შინ.

თხზი ოქროს მედლის მოპოვების შემდეგ ორტერმა გამოტოვა მიუნხენისა და მონრეალის ოლიმპიადები და მერე, 46 წლის კაცმა, ისევ სარბიელზე დაბრუნება გადაწყვიტა. მოსკოვის ოლიმპიადის წინ იგი კვლავ უძლიერესი იყო ამერიკის შეერთებული შტატების გუნდში, ამასთან თითქმის სამი მეტრით გააუმჯობესა თავისი ახალგაზრდობის დროინდელი საუკეთესო მიღწევა. მაგრამ, როგორც იცით, ამერიკელები მოსკოვში არ ჩამოსულან...

მტყორცნელთა შეჯიბრების ტელეპორტაჟის დროს გაშვრიახობა გამოიჩინა იტალიის ტელევიზიამ. ტელეკამერები ზედ სატყორცნი წრის თავზე დაკიდეს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ სპორტსმენი ულაზარეს რიტუალურ ცეკვას ასრულებდა...

სპორტულ სიარულში ქალთა შეჯიბრება მძლეოსნობაში შედარებით ახალი დისციპლინაა, ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ჯერჯერობით იგი არც მასობრივობით გამოირჩევა და არც მაღალი შედეგებით. დიდ სპორტს თავისი კანონები აქვს, რომელიც ტრადიციის შექმნასაც გულსხმობს. ისევე როგორც მართაში, სუსტი სქესის წარმომადგენლები შეუპოვრად იბრძვიან, რათა თავიანთი სიტყვით და დაამტკიცონ, რომ სპორტულ სიარულშიც შეუძლიათ მამაკაცებს „გაუტოლდნენ“. რომში სპორტულ ენის აყოლილი ბევრი ქალი დაადა 10-კილომეტრიან ტრასას, თუმცა ყველა ვერ გაუძლო მძიმე დატვირთვას — ძალი არ იყო. ჯერ ტრასაზე, შემდეგ კი სტადიონის ბილიებზე, მაშინ, როცა ფინიშიმდე სულ რაღაც 50-70 მეტრი რჩებოდა, ერთიმეორის მიყოლებით ეცემოდნენ გონდაკარგული სპორტსმენები და სამედიცინო სამსახურს დიდი ჯაფა დაადგა.

ამ სახეობაში, როგორც ცნობილია, საბჭოთა სპორტსმენმა ირინა სტრახოვამ გაიმარჯვა. იგი 28 წლისაა. ამ მძლეოსნის სპორტული ბიოგრაფიიდან ცოტა არ იყოს უჩვეულო რამ გვიამბო პირადმა მწვრთნელმა. ირინა შემთხვევით ჩაწერია მძლეოსნობის სექტორში,

სტადიონზე დადიოდა თანაკლასელ შეყვარებულ ჰაბუტთან ერთად და მწვრთნელს შეუთავაზებია — რაკი დროს კარგავ, ბარემ მოდი, შენც ივარჯიშეო. ირინასაც ვარჯიში დაუწყია. ვახოვების შემდეგ, როცა უკვე 25 წლის იყო, სტრახოვა კვლავ დაუბრუნდა მძლეოსნობას და ამჯერად სპორტულ სიარულში დაიწყო ვარჯიში...

ჩემპიონატის გუნდური პირველობის პრიზიორთა სამეულს ალბათ საყვედური არ ეთქმის: ადგილები კანონზომიერად განაწილდა. მართალია, ბევრი ფიქრობდა, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრები შეძლებდა ამერიკელთა დამარცხებას, მაგრამ ჩვენს გუნდს, რომელიც საერთოდ ცუდად არ გამოუსულა, მაინც აკლდა ის, თუ შეიძლება ითქვას, აღმაფრენა, რაც ხშირად შესაძლებელზე მეტს მიღწევის საშუალებას იძლევა. საბჭოთა ნაკრებისათვის განსაკუთრებით ნავსიანი გამოდგა შეჯიბრების ბოლო დღე, როდესაც ამერიკელებმა ოთხ

3. სსრკ	7	12	6
4. ბულგარეთი	3	1	1
5. კენია	3	—	3
6. იტალია	2	2	2
7. დიდი ბრიტ.	1	3	3
8. პორტუგალია	1	1	—
9. შვეიცარია	1	—	1
10. კანადა	1	—	—
ფინეთი	1	—	—
მაროკო	1	—	—
ნორვეგია	1	—	—
სომალი	1	—	—
შვეიცარია	1	—	—
16. საფრანგეთი	—	2	1
17. ავსტრალია	—	2	—
18. ვფრ	—	1	2
19. ჩეხოსლოვაკია	—	1	1
ესპანეთი	—	1	1
21. ჯიბუტი	—	1	—
ნიგერია	—	1	—
რუმინეთი	—	1	—
24. იამაიკა	—	—	4
25. კუბა	—	—	2
26. ბელგია	—	—	1
ბრაზილია	—	—	1
ჩინეთი	—	—	1



კელვინ სმიტი.



სახელგანთქმულ მძლეოსანთა მეგობრული შარუები, რომელიც ერთ-ერთ იტალიურ გაზეთში დაიბეჭდა ჩემპიონატის წინ (ანდრე, ბუბკა, ჯონსონი, აუიტა, კოსტადინოვა, დამილანო და დრეხლერი).

დისციპლინაში გაიმარჯვეს, ხოლო ჩვენი სპორტსმენები ოქროს მედლის გარეშე დარჩნენ. ამერიკელთა გუნდის უპირატესობა განსაკუთრებით შესამჩნევია იყო ამანატრებში — მათ მოიგეს ვაჟთა ორივე ესტაფეტა და 4X100 მ ქალთა შორის. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მედლების საერთო რაოდენობით საბჭოთა სპორტსმენები 11 ადგილზე გავიდნენ, გდრ-ის ნაკრებს კი ბადალი არ ჰყავდა, რაშიც ქვემოთ მოყვანილი ჩემპიონატის საბოლოო ცხრილიც გვარწმუნებს.

ოქრ	ვერცხლი	ბრინჯაო	
1. გდრ	10	11	10
2. აშშ	9	5	5


თუ ამ ცხრილს ჰელსინკში გამართული პირველი მსოფლიო ჩემპიონატის შედეგებს შევადარებთ, ასეთი სურათი წარმოგვიდგება: „დიდი სამეულის“ — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების უპირატესობა კვლავ იზრდება. ფინეთის დედაქალაქში მათ საერთო ჯამში 69 მედალი მოიპოვეს, ახლა კი ეს რიცხვი 75-მდე, ე. ი. მედლების თითქმის 5 პროცენტამდე გაზარდეს, განსაკუთრებით აშკარაა გდრ-ის გუნდის პროგრესი; მართალია, მან რომშიც, ისევე როგორც ჰელსინკში, 10 ოქროს მედალი მოიპოვა, მაგრამ მსოფლიოს პირველ ჩემპიონატთან შედარებით საგრძნობლად გაზარდა ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდოების მარაგი (თხზი წლის წინ მხოლოდ 7 მეორე და 5 მესამე ადგილი ჰქონდა). ასეთი

ნახტომის წყალობით, როგორც ზემოთ ვთქვით, გდრ-ის ნაკრებმა ყველა მაჩვენებლით გაუსწრო მთავარ მეტოქეებს და მესამე ადგილიდან პირველზე გადაინაცვლა. ამერიკელებმა მსოფლიოს პირველ ჩემპიონატთან შედარებით ერთი ოქროს მედლით მეტი მიიღეს, მაგრამ ჯილდოების საერთო რაოდენობით ჰელსინკში მათ უკეთესი მდგომარეობა ჰქონდათ. ჩვენი ქვეყნის გუნდმა, მართალია, ყველა მაჩვენებლით გააუმჯობესა ოთხი წლის წინანდელი შედეგები, მაგრამ ზრდის ეს ტემპი თანამედროვე პირობებში საკმარისი არ აღმოჩნდა.

სხვა მხრივ სატურნირო ცხრილში რაიმე შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა (თუ არ ვივალისხებთ იმას, რომ ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენებმა ერთბაშად 15 სადღესურთით უკან დაიხიეს), თუმცა კვლავ უნდა აღვნიშნოთ კენელ მძლეოსანთა განსაკუთრებული მიღწევები. ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მძლეოსნობა სპორტის „სტაბილურ“ სახეობად რჩება და მხოლოდ მისი განვითარებისათვის გაწეული მრავალწლიანი შრომა იძლევა სასურველ ნაყოფს.

ბც შეეხება პირად პირველობას, მსოფლიოს პირველი და მეორე ჩემპიონატების მიღწევითა შედარება, უწინარეს ყოვლისა, ძველ ქემპიონატებსა გაგვახსენებს: სპორტში დღეგრძელობა მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ათლეტთა ხვედრია. რომში თავისი ტიტული დაიცვა წინა, I მსოფლიო ჩემპიონატის ექვსმა გამარჯვებულმა და ორმა ამანატრების კვარტეტმა. ესენი არიან: ედვინ მოზესი, სერგეი ბუბკა, კარლ ლუსი, სერგეი ლიტვინოვი, გრეგ ფოსტერი, კელვინ სმიტი (თუმცა სმიტი-თავის წარმატებებს იმასაც უნდა უმაღლოდეს, რომ ლუსი 200-მეტრიან დისტანციაზე არ გამოუსულა), გდრ-ის ქალთა (4X400) და აშშ-ის ვაჟთა (4X100) გუნდები ამანატრებნენ.

თენგიზ ბაჩიკილაძე, გიორგი ჩოჩიაშვილი, „ლელო“ სპეციალური კორესპონდენტები.
 რომი — თბილისი.



თანამედროვე სპორტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტრავმების პროფილაქტიკას, გადატანილი ტრავმების შემდეგ კი სპორტსმენები ფრთხილდებიან, რომ ტრავმა არ განახლდეს. სწორედ მათ დასახმარებლად ერთ-ერთმა ფირმამ ჩემპიონატზე წარმოადგინა დამცავი საშუალებები, რომლებმაც სპორტსმენთა და სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია. სურათებზე, რომლებსაც აქვე გთავაზობთ, აღბეჭდილია დამცავი საშუალებები.

სამი თვე და...

თოვლის პირველი ფანტელების, ოთხსართულიანი სასტუმროს საცურაო აუზისა და ჩოგბურთის კორტების... „დოპელმაიერისა“ და „ტატარაშვილის“ საბაგირების, თოვლის სამსახურისა და სხვათა შესახებ.

გუდაუარში ასვლისთანავე ძველი ჩვეულებებისაგან ფოსტის შენობასთან შეეჩერდით, სწორედ მის მეორე სართულზეა ზოლზე მოწყობილი ზამთრის სეზონში სხვადასხვა შეჭიბვითაა პრეს-ცენტრი. კარგებში ფოსტის ერთგული, ძველი თანამშრომელი ქალბატონი სვეტა შემოგვხვება, ჩვეული თავზიანობით მოგვითხრობს და სამართველო „კავასიონის“ ახალი უფროსი გაიონ ჯილდოზე გავაყენო. შაბათი დღე იყო. მორიგ თათბირ-ანგარიშსწორ, რომელსაც გუდაუარში აი, უკვე მერამდენედ ატარებს საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზურაბ ჩხეიძე, ნახევარ საათზე ცოტა მეტი რჩებოდა. მალე მასპინძლის „რაფით“ სპორტულ ბაზას — ავსტრიის ცნობილი ფირმა „აბეკ“ მიერ აგებულ სასტუმრო კომპლექსს მივადგებით. საკმაოდ შთამბეჭდავი გარეგნობის, ოთხსართულიანი შენობის ფასადიდან უზარმაზარი მინების ნახევარწრის ნაგებობა „მიპკრობოდა“: სასადილოა, გავიფიქრეთ.

„სასადილო“... დახურული საცურაო აუზი გამოდგა, რომელიც ახალი სასტუმრო კომპლექსის სიამაყე იქნება. ასეთი რამ მხოლოდ კინოფილმ „მზიური ველის სერენადში“ თუ გვინახავს. აუზი დაახლოებით ორმეტრიანი სიღრმისაა, მისი ზომებია 14X7 მეტრზე, ცხელ წყალს, ისევე როგორც მთელი კომპლექსი, საკუთარი რეზერვუარიდან მიიღებს.

...დაახლოებით წელიწადია, რაც აქ „აბეკ“-ს ფირმის წარმომადგენლები პოლონეთს და ქართველ მშენებლებთან ერთად თანამშრომლობენ, მეტად კომფორტულად 300-დგილიან სასტუმრო კომპლექსს აგებ-

ენ. შენობა უკვე თითქმის მზადაა, თუმცა გასაკეთებელი მაინც ბევრია, რათა ახალმა კომპლექსმა ახალი წლის დამდეგდან მიიღოს მოთხილამურეთა პირველი ნაკადი. სწორედ ამიტომ ჩქარობენ ასე მშენებლები, ამიტომ თბარება აქ რეგულარული თათბირ-ანგარიშები (თავს უფლებას მივცემთ და ვიტყვით: საკმაოდ საკმაოდ, კონკრეტული და ქმედითი) ამხანაგ ზ. ჩხეიძის ხელმძღვანელობით. ვინ მოთვლის რამდენ ორგანიზაციას, უწყებას, სამინისტროს ევალება ობიექტის დასრულება და მისი მშენებლობის დასრულება, გათბობა, კავშირგაბმულობა, — იზრუნოს ბროდუქტმომარაგებაზე, გზის შეკეთებასა და სხვ.

...კომპლექსის ე. წ. მთავარ ევსტრებიულში შემოგვიერთდა ახალი სასტუმროს პროექტის ავტორი, „საქქალაქმშენსახპროექტის“ მშენებელ-სახელმწიფოს არქიტექტორი ლევან ლორთქიფანიძე და ამვე კომპლექსის სათხილამურო ცენტრების უფროსი ვანტანა მჭეღლაძე.

უშუალო მშენებლები — პოლონური ფირმა „ბუდიმექსი“ ტრადიციულ შეღესვით სამუშაოებს არ აწარმოებს: სამი სახის თბაშირის ფილებს აქ შურუბებით ამარაგებენ. ასევე ორიგინალურია სხვადასხვა გაყვანილობანი, რადიატორები, ფანჯრების უნივერსალური ჩარჩოები, სარკმელი ორ მხარეს იღება. ნომრები ძირითადად ორადგილიანია, ძალზე მოხდენილი, ეგრეთ წოდებული „დუბლქსის“ სტილის ანტირესოლუბით. ე. ი. ფაქტობრივად ორსართულიანი.

აქვეა მომავალი კონფერენც-დარბაზი კინომოწყობილობით, სათხილამურო ინვენტარის გაქირავების

პუნქტი, პირველ სართულზე გაიხსნება მალაზიები, საპარკინგო, საუნა, ფოტოლაბორატორია, 25-მეტრიანი ამერიკული კეგელიანი გაგვივაცა უზარმაზარი სპორტულმა დარბაზმა (40X40 მ), რომელშიც სინთეტურსაფარიანი ჩოგბურთის ორი კორტია მოწყობაა გათვალისწინებული. მოგვეწონა სათხილამურო ვესტიბიულიც, საიდანაც პირდაპირ თხილამურებით საბაგიროზე გასვლა შეიძლება.

ალბათ დროა ამ საბაგიროებზეც მოგახსენოთ. ისინიც, ისევე როგორც სასტუმრო კომპლექსი, ექვსი კორტეჯი და ორი ბანაკი, ავსტრიულმა სპეციალისტებმა შექმნეს, კერძოდ ფირმა „დოპელმაიერმა“. ესაა 3 სამადგილიანი საგარძღვითა და ერთიც ოთხადგილიანი საგარძღვითი დამონტაჟებული საბაგირო გზები, რომელთა საერთო სიგრძე 5.500 მეტრია. მათი საშუალებით მოთხილამურე აღის ე. წ. კუდების მთაზე 3.000 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. დაუმატეთ ამას კიდევ ორი ჩეხოსლოვაკიური, ცნობილი ფირმა „ტატარაშვილის“ მიერ გაკეთებული, საბუქსირო საბაგირო გზა, რომლებიც გუდაუარის ფოსტის მიდამოებში იწყება. ამ გზების სიგრძეა 1.300 და 9.00 მეტრი.

მართალი იყო „საქსასპეცტრანსის“ სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე შ. ორგონიძე, რომელმაც მოსწრებულად შენიშნა, რომ როგორც დიდებული მთა, თოვლი და ტრასა არ უნდა იყოს, თუ მასზე საბაგირო გზა არ არსებობს, იგი მკვდარი იქნება მოთხილამურეთათვის. მართლაც გულმოდრინულია მტკიცება, რომ მთიდან იმდენჯერ შეგიძლია დაეშვა, რამდენჯერაც ახვალ მასზე. ვფიქრობთ, რომ ჩვენს მოთხილამურეებს „გუდაუარის“ ამაყ და ზვიად მთებზე“ ასევე აღარ გაუძნელდებათ, თუ გავთვალისწინებთ, რომ ახალი სა-



თხილამურო ცენტრის საბაგიროების საერთო გამტარუნარიანობა საათში 6 ათასი კაცია. შ. ორგონიძისაგან შევიტყვეთ, რომ სოციალისტური ქვეყნების ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სპეციალური-ტექნიკური პროგრესის შესაბამისად შემუშავებული თანამშრომლობის კომპლექსური გეგმა ჩეხოსლოვაკიულ სპეციალისტებთან, რის საფუძველზეც აიგო ბაგირიანი სამი და გუდაუარში ორი ახალი ავტომატიზირებული საბაგირო გზა. თავის მხრივ ჩეხოსლოვაკიელებმა შეძლეს ამ ბაგირგზების დამზადება ფრანგულ ფირმა „პომას“ (აქედანაა ერთობლივი ტერმინის „ტატარაშვილის“ წარმოშობა) ლიცენზიის საფუძველზე. ახალი ბაგირგზები დაახლოებით სამი ეფექტს იძლევა სამამულო წარმოების გზებთან შედარებით — გამტარუნარიანობაში, ღირებულებაში, ფართობის მხრივ, ე. ი. გაცილებით ნაკლები ხე მოიჭრება მათი გაყვანისათვის. და კიდევ ერთი: ამჟამად მიმდინარეობს ენერგული მზადება „საქსასპეცტრანსისა“ — „ტატარაშვილის“ შორის ქართველ და სლოვაკურ ერთობლივი ფირმის

შესაქმნელად, რაც გაცილებით უფრო ნაყოფიერს გახდის ახალი ბაგირგზების აგებას ჩვენში.

ახლან ჩვენს რესპუბლიკაში (და საერთოდ მთელს კავშირში) პირველად შეიქმნა ე. წ. „თოვლის სასახური“ (საბაგირგზეპსლოვაკიის) სამართველოთა), რომელსაც ბაგირიანსა და გუდაუარში სათხილამურო ტრასების, საბაგირო გზების, სამშენებლო საქმის სამსახური — ზედამხედველობა ევალება. მის ხელმძღვანელად დაინიშნა გამოცდილი მოთხილამურე კოსტა ქვეთარია, ჩვენი გულისხმიერი მეგობარი, ასე დაწვრილებით რომ გავაცნო გუდაუარის ახალშენი.

ოთარ ნოზაძე,
„ლელოს“ ხეც. კორ.
გუდაუარი.

P.S. პარაკევს გუდაუარის ცაში პირველი თოვლის ფანტელები გამოჩნდა. თეთრად ამოივსო მწვენი ხახხასა მოლით დაფარული თვალწარმტაცი ხეები. იქნებ ეს ბუნების პირველი შეხსენებაა: ზამთარი მალე დაგვადგება თავს, იქნარეთ, მშენებლებო!

სსრ კავშირის პირველთა წყალბურთში I ლიგა



ჩხვიძე რესპუბლიკის დედაქალაქის წყალბურთის მოყვარულებს მიეცათ საშუალება სარბიელზე იხილონ I ლიგის საკავშირო პირველობის დებიუტანტი ადგილობრივი ასკ-ის გუნდი.

თბილისელი წყალბურთელები, დებიუტანტების კვალობაზე, კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ; მოგვხსენებთ, დებიუტანტები, ჩვეულებრივ, მაღალ ადგილებს არ უშიზნებენ. გამონაკლისი არც ისინი არიან. წლებულს მათი უპირველესი მიზანი ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა და ვფიქრობთ, მიზანს მიაღწევენ. ახლა გადაწყვეტი შეხედვრებია განათლების სამმართველო-

თბილისელთა პოზიციის განიგტაცის

ველოს ბავშვთა და მოზარდთა წყალბურთის სპორტსკოლის საცურაო აუზში, სადაც გუნდები IX-XVI ადგილებს იბრძვიან.

დასკვნითი ტურის მატჩები, ქულათა ყველაზე კარგი მარაგით, თბილისელმა არმიელებმა, მოსკოვის ვტუშ-ისა და ედინბურგის „აზოვის“ წარმომადგენლებმა დაიწყეს. მათ 14-14 ქულა ჰქონდათ. 13 ქულით XIII ადგილზე იყო მოსკოვის სკიფი. ტაქტიკურად „მეხნატ“ და ბაქოს რესპუბლიკური უმაღლესი სპორტული დაოსტატების სპორტსკოლის წყალბურთელებს — 11-11. ვორონეჟის არმიელებს — 2, ხოლო ერევნის რესპუბლიკური უმაღლესი სპორტული დაოსტატების სპორტსკოლის გუნდს — 1.

ერევნელ და ვორონეჟელ წყალბურთელებს, თბილისში შეჭიბვების დაწყებამდე, ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მხოლოდ თეორიულად შანსიდა ჰქონდათ, მაგრამ ვიკრას, ასპარეზობის პირველსავე დღეს, მათ ეს იმედიც დაკარგეს, რადგან ორივენი დამარცხდნენ.

მათ გარდა I ლიგას კიდევ ორი გუნდი უნდა გამოეთხოვოს. ყოფნა არ ყოფნის საკითხი, მეტ-ნაკლებად, ყველა გუნდს — აწუხებს. ამიტომ ასპარეზობის დამთავრებამდე მეტად უკომპრომისო შეხედვრებია მოსალოდნელი.

იმ გუნდებიდან, რომლებსაც ტურის წინ 11-11 ქულა ჰქონდათ, ყველამ გაიმარჯვა. ტაშენტელმა წყალბურთელებმა ერევნელებს სძლიეს (12:5), ბაქოელებმა — მო-

სკოვის სკიფ-ს (10:9), ხოლო მოსკოვის ვტუშ-მა — ედინბურგებს (9:6).

თბილისელები ამ დღეს ვორონეჟელებს შეხედნენ. მატჩის ბედი პრაქტიკულად გადაწყდა პირველ პერიოდში, რომელიც მასპინძლებმა 5:1 მოიგეს. ამის შემდეგ შეხედვრამ თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა (2:2, 2:3, 3:3) და საბოლოოდ მათ გაიმარჯვეს (12:9). თუმცა, აშკარად ჩანდა, რომ თბილისელებს უფრო დიდი სხვაობით შეეძლოთ მოგება...

მასპინძელთაგან ამ დღეს თავი მეტად გამოიჩინა ცოტაძემ, რომელმაც მეტოქის კარი 5-ჯერ დაეშკრა. მას გარდა ბურთები გაიტანეს კელაშვილი (2), დემეტრაშვილი, ახვლედიანი, ლიბარტელიანი, ლევან წულაძემ და ასათიანი.

ამ გამარჯვებით ჩვენმა წყალბურთელებმა სატურნირო მდგომარეობა უფრო განიმტაცეს.

გუნდის ბაქოელმა წყალბურთელებმა სძლიეს ვორონეჟელებს (15:2), მოსკოვის სკიფ-ის გუნდმა — ედინბურგებს (4:2), მოსკოვის ვტუშ-მა — ტაშენტის „მეხნატს“ (7:6), ხოლო თბილისელებმა — ერევნელებს (11:5).

ავთანდილ გუარსაშვილი.

დაწინაურდა იან ტივანი

პოლანდის ჯალოქ ტილბურგში გრძელდება მოჭირავე ვაჟთა დღე. საერთაშორისო ტურნირი. IV ტურში პოლანდიელმა იან ტივანმა დამარცხა ვიქტორ კორჩინი (შვეიცარია). დაზავდნენ ლიუბოშის ლიუბოვეიჩი (იუგოსლავია) — ანდრეი სოკოლოვი, არტურ იუსუპოვი — რობერტ პიუბენი (გერმანია), პრედრაგ ნიკოლიჩი (იუგოსლავია) — ულვ ანდერსონი (შვეიცარია).

4 ტურის შემდეგ 3 ქულით დაწინაურდა იან ტივანი. ლიდერს 0.5 ქულით ჩამორჩებიან იუსუპოვი, პიუბენი და ნიკოლიჩი.

„სპორტლოტი“

გუზინცი მოსკოვში შედგა „სპორტლოტის“ მორიგი, 38-ე ტურაქები.

„სპორტლოტი 6-45“-დან: 1 (კალათბურთი), 6 (ძიულთ), 8 (ტრეპკე ვეილიბოლი), 34 (ფრანკობა), 35 (მობიანი პოკეი), 43 (ტურნირი).

„სპორტლოტი 5-86“-დან: 5 (თვისუფალი ჭილაობა), 8 (ტრეპკე ვეილიბოლი), 16 (ფრენბურთი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 27 (შვეიცილონობა).

სპორტული ლატარების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები 37-ე „სპორტლოტის“ ტურაქებისა, რომელიც 13 სექტემბერს გაიმართა.

„სპორტლოტი 6-45“-დან: გაიყიდა 655499 ბარათი.

6 ციფრი ვერავენ გამოიცნო. 5 ციფრის გამოცნობისთვის (44 ბარათი) მოგება 893 მანეთია, 4-ისთვის (2360) — 24, 3-ისთვის (38942) — 3.

„სპორტლოტი 5-86“-დან: გაიყიდა 6 054 286 ბარათი.

5 ციფრის გამოცნობისთვის (31 ბარათი) მოგება 10 000 მანეთია. 4-ისთვის (4902) — 111, სამისთვის (159 553) — 6.

„ლელოს“ შამდევი ნომერი გაშვდა ხუთშაბათს, 24 სექტემბერს.

რედაქტორის მოადგილე უ. ზიზინაძე.

კარგი ნადავლით

სამართლის პროფკავშირების ნორჩ ველოსიპედისტთა შეჭიბვრებაში, რომელიც თბილისის ძველ ველოტრეკზე ჩატარდა, ადგილობრივ სპორტსმენებთან ერთად მონაწილეობდნენ სოხუმის, ზუგდიდის, ქუთაისის, სამტრედიის და რუსთავის ასზე მეტი წარმომადგენელი. ასპარეზობაში კონკურსს გარეშე დაუშვეს თბილისის გახათლების სამმართველოს ბავშვთა

სპორტული სკოლის ველოსიპედისტები.

ამ მართლაც მასობრივ შეჭიბვრებაში ბევრმა მონაწილემ საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა. ასპარეზობის დამთავრების შემდეგ შედგა ნაკრები გუნდი, რომელიც პროფკავშირების საკავშირო პირველობაზე გაემგზავრება.

მაგრამ ყველა უძლიერესი ველოსიპედისტი ამჯერად სტარტზე

არ გამოუსულა. მათგან ნაწილი პაბლანდიაში იმყოფებოდა, სადაც პროფკავშირების საკავშირო პირველობა ტარდებოდა 1969-1970 წლებში დაბადებული შორის. აი იქ კი საქართველოს ველოსიპედისტებმა საკმაოდ დამაჯერებელ წარმატებას მიაღწიეს.

ასე მაგალითად, 75 კილომეტრიანი კრიტერიუმში ჩვენი გუნდის წევრმა ვასილი დავიდენკომ (მწვრთნელი ვ. მალცევი) II ადგილი დაიკავა. ანალოგიური შედეგი ჰქონდა ქალთა 45-კილომეტრიანი კრიტერიუმში სტელა პრიახინას (მწვრთნელი ვ. ზოლოტაროვი), მაგრამ ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ ბოლო ფინიშამდე იგი რბო-

ლას ლიდერობდა. შეგახსენებთ, დავიდენკოცა და პრიახინაც საკავშირო ნაკრების წევრები არიან. 120 კილომეტრიანი ჯგუფურ რბოლაში (სტარტზე 98 მონაწილე გამოვიდა) გამარჯვება ვასილ დავიდენკომ მოიპოვა — 2:55.53. ამ სახეობაში IV ადგილიც ჩვენი გუნდის წევრმა ბაჩუკი ხორგუხისა (მწვრთნელი მ. ხარაბაძე) დაიკავა, რომელიც თავის იყო დებიუტი საკავშირო სარბიელზე.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის პროფკავშირების ნაკრები გუნდი ემზადება საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლისთვის, რომელიც 14 ოქტომბერს გუდაუარში დაიწყება.

ჩხვიძე მისამართი:
წერილებისთვის — 350898
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

„ელეკციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55,
სამდივო — 98-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 97-97-53,
„მერანი“ — 98-97-26, „მართვე“ — 98-97-27.

ჩხვიძე
06428

საქართველოს კბ ცვ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენის მფლობელი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგანთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უკ 07167